

## მდ.ილიურთისხევის აუზის გეოლოგია და მადნიანობა

ლუკა ძიმისტარიშვილი  
[luka.dzimistarishvili876@ens.tsu.edu.ge](mailto:luka.dzimistarishvili876@ens.tsu.edu.ge)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გეოლოგიის დეპარტამენტი,  
უნივერსიტეტის ქ.13, თბილისი

მდ.ილიურთისხევი თუშეთში მდებარეობს. იგი გომეწრის ალაზნის მარჯვენა შენაკადია, მათი GPS-თ დაფიქსირებული შერთვის ადგილის სიმაღლე შეადგენს-1797მ., ხოლო კოორდინატებია: ჩ.გ.42° 23.724' ა.გ.45°31.918' . თუშეთი კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთით მდებარეობს და საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლურ რეგიონს წარმოადგენს; ადმინისტრაციულად იგი ახმეტის რაიონში შედის.

ამ რეგიონში, ოქროს გამადნების პერსპექტივების შეფასების მიზნით, კვლევებს აწარმოებს უნივერსიტეტის გეოლოგიის დეპარტამენტი ასოც.პროფესორის კ.აქიმძის ხელმძღვანელობით. გასული წლის ზაფხულში, ამ თემატიკის ფარგლებში ბატონ კ.აქიმძის ხელმძღვანელობით, მივიღე მონაწილეობა ილიურთის ხევის მინერალური ზონების შესწავლაში. წარმოდგენილ მოხსენებაში ასახულია ამ დაკვირვების შედეგები.

გეოტექტონიკურად ილიურთისხევის აუზი, ისე როგორც მთლიანად თუშეთის რეგიონი, კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთი ფერდის პლინსბახ-ტოარსული ასაკის ფიქლების სერიის აღმოსავლეთი დაპირვის ზონის ფარგლებში მდებარეობს. აუზის ფართი შეადგენს 20 კმ<sup>2</sup> აგებულია ადრე იურული (ტოარსული) ასაკის პელიტურ-ალევროპელიტური ფიქლებით, რომლის ცალკეული ინტერვალები წვრილი და საშუალომარცვლოვანი ქვიშაქვის დასტებითაა წარმოდგენილი. ალევროპელიტები წვრილზოლებრივი ტექსტურის ქანბია, საკმაოდ მასიური, მაგრამ გარკვეულ ინტერვალებში მკვეთრად დაფიქლემული. ზოლების სიმძლავრე 0.5-3.0 სმ. მერყეობს. პელიტური ნაწილი ორგანული ნახშირბადით მდიდარი, მუქი ნაცრისფერი, თითქმის შავიფერისაა. ალევრიტული შედგენილობის ზოლები ღიანაცრისფერია, სქელ შრეებში შეიმჩნევა მასალის ახარისხება საგებიდან სახურავისკენ და ერთეული პირიტის ჩანაწინწკლები.

დანალექი კომპლექსი ილიურთის ხევის აუზში წარმოდგენილია საერთოკავკასიური მიმართების მქონა ანტიკლინური სტრუქტურის ჩრდილო ფრთით, რომელიც ხასიათდება დაბალი (15-25°) კუთხეებით. მას კვეთს ჩრდილო-აღმოსავლური (15-30°) დაქანების აზიმუტის მქონე, სუბპარალელური ორიენტაციის 6 რღვევითი სტრუქტურა, რომელთა სიმძლავრეები 0.5 -10.0 მ-ში მერყეობს და პლიკატურთან შედარებით მაღალი (უმთავრესად ფიქლებრიობის თანხვედნილი- 65-70°) დაქანების კუთხეები ახასიათებთ. სწორედ ამ რღვევით სტრუქტურებთანაა დაკავშირებული ოქროზე პერსპექტიული კვარცის მარღვაკები, მარღვები და ლინზები პირიტ, ქალკოპირიტ, გალენიტ-სფალერიტული ჩაწინწკლული და ჩაწინწკლულ მარღვაკული მინერალიზაციით, რომლებიც ჩვენ შევისწავლეთ და დავსინჯეთ წერტილოვანი ღარების მეთოდით.